წელი ადი მე-2-ე

# სამშობლო

№ 352

ოთხშაბათი, 11 მაისი

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე ... ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. ვლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.

ტელეფონი № 76

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 9 მაისიდან ნაჩვენები იქნება **პატე ჟურნალი** 339 მიმდინარე ამბები.

## ცეკვა სიზორუფისა.

მხატვრული დრამა 5 ნაწილად.

ცნობილ მსახიობ ქალის ფრანჩესკო ბერტინის მონაწილეობით.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 12 მაისიდან. **საჰაერო დაზვერვა**. სურათი გადაღებულია ბუნებიდან ფრანგთა კინემატოგრაფიული სინდიკატის მიერ.

**დანაშაულობიდან დანაშაულისაკენ.** მხიარული კომედია 3 ნაწილად ცნობილ მსახიობ: ვ. კარალისა მამის ა. კალარილოვცევის მონაწილეობით.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ორშაბათიდან, 9 მაისიდან ნაჩვენები იქნება **გომონის ქრონიკა 36** მიმდინარე ამბები

## გასჩუმდით, დაწყევლილო სიმებო!

დადგმულია ნ. პ. მალაკოვისაგან პოკროვსკისა და კაშევსკის მონაწ.

**დარჩა მოტყუებული, მაგრამ უკბილო.** კომიკური.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 12 მაისიდან, მხოლოდ მოზრდილთავის ნაჩვენები იქნება **საჰაერო დაზვერვა.** სურათი გადაღებულია ბუნებიდან ფრანგთა კინემატოგრაფიული სინდიკატის მიერ.

ადგილების ფასი „**ამპირსა**“ და „**რადიუმში**“; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ 30 კაპ., რაჯის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

ქ. ქუთაისში 1 ივნისიდან იხსნება სამი თვის

## ჭრა-კერვას

კერძო კურსები.

მიღება დაიწყება სამ მაისიდან დამლევამდე. პირობების გაგება შეიძლება: ფრანგების ქუჩის შესახვევშისახლი კოსტანოვისა, მასწავლებელ ეკატერინე ალიხანაშვილთან, ნაშუადღევის 3—7 საათ. კვირა უქმეობით დილის 10 საათ. საღამ. 6 საათამდი.

მსურველს შეუძლია სამასწავლებლო ატესტატი მიიღოს.

156 ეგზამენის დაჭერა მოხდება ექსპერტების თანადასწრებით.

## სკოლა ტყეში

3750 ფუტია ზღვის დონაზე **წელიწადი მესამე**

საზაფხულო ახალშენი ჯანით სუსტი ბავშვებისათვის წალვერის ტყეში.

ზ. გ. არჯევანიძისა.

სეზონი გაიხსნება 20 მაისს.

ბავშვების ჩაწერა შეიძლება: ქუთაისში, გიორგი ნიორაძესთან. 7--3

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

**ამზადებს**

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის.

პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძისა. თ.

**ბებია** მ. მ. ქოჩხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ვილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2. თ. 11

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოქიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ. 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** ი. **ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით, $12^1/_2$— საათ. საღ. 6—8 საათ. მისამართი: ლვვაშოვი ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმი** მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

**ექიმი** შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №. 46, ტელეფონი № 87 თ 14

## დეპეშები.

### უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

**პეტროგრადი**. 6 მაისი. ოფიციალი. სადგურ კრემენცის ჩრდილო-დასავლეთით ალმოვაჩინეთ ავსტრიელთა სანაღმოსნო მუშაობა და მოულოდნელად შევიჭერით მათ თხრილებში. ავსტრიელები გაიქცნენ. მოპირდაპირე შეეცადა თხრილების დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ ჩაუარა.

გალიციაში ტოპოროვიცეს ჩრდილოეთით ჩვენმა მზვერავებმა მტრის მავთულიან სიმაგრის ნაწილი გაანადგურეს.

**პარიზი**. 5 მაისი. დღის ოფიციალი ცნობა უაზის და სემის შუა გერმანელების მზვერავთა რაზმი ვენოვერთან ჩვენი ჯარის დაზვერვს სცდილობდა, მაგრამ კონტიერიშით უკან დავახევინეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, გერმანელები სცდილობდენ რედუტის ალებას ავაკურის ტყეში. „287“ სიმაღლის ჩრდილოეთიდან, მტრის თხრილებს თავს დავესხით და მცველები ამოვსწყვიტეთ. ამავე დროს, ხელთ ვიგდეთ მტრის პატარა სადარაჯო „304“ სიმაღლის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მაასის მარჯვენა ნაპირზე ვევრში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ჩვენმა მფრინავებმა ბლომათ ყუმბარები ჩამოჰყარეს.

საღამოს ოფიციალი ცნობა. ენის ჩრდილოეთით ჩვენ გავფანტეთ გერმანელთა მზვერავების ჯგუფი, რომელიც უახლოვდებოდა ჩვენს თხრილებს ნუვრონის ჩრდილოეთით. მაასის მარცხენა ნაპირზე, საღამოს 5 ს., საშინელ ბრძოლის შემდეგ, მტერი შეეცადა წინ წაწევას, მაგრამ ცეცხლის მფრქვეველებით უკან დავახევინეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლამ ეპარჟთან მძიმე ხასიათი მიიღო ასპარეზის დანარჩენ ადგილებში არსებითი არა მომხდარა.

**ჰავრი.** 5 მაისი. ბელგეიის ცნობა. გუშინღამ, საშინელ საარტილერიო ცეცხლის შემდეგ მტერმა იერიში მოიტანა იზერის მარცხენა ნაპირის სადარაჯოზე, მაგრამ ჩვენმა ქვეითის და არტილერიის ცეცხლმა მალე შეაჩერა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ავსტრიის ჰაეროპლანები თავს დასხმიან მატარებელს, რომელშიაც მსხდარან საბერძნეთის დედოფალი ელენე და პრინცესები. მატარებელი უვნებლად გადარჩენილა

—

დიპლომატიური მოლაპარაკება საბერძნეთსა და შეთანხმების სახელმწიფოთა შორის კვლავ სწარმოებს მას შემდეგ, რაც ვენიზელიოსი ხელმეორეთ აირჩიეს შეთანხმების სახელმწიფოებს იმედი მიეცათ, რომ საბერძნეთი მათ მხარეს იქნებაო.

—

სალონიკთან ახალ შეტევებს მოელიან რადგან აქ ორივე მოწინააღმდეგე მხარე საკმაოდ მომზადებულია.

—

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ სტამბოლის დაცვა გერმანელებსა და ბულგარებს მიენდო, მხოლოდ აქედან რეგულიარი ჯარის უმეტესი ნაწილი აზიაში გაიგზავნა.

—

ოსმალეთის ბერძნების სულის კვეთება ამ ბოლო დროს მეტად ცუდ ხასიათს იღებს. ბევრი ბერძენი ოსმალეთის მცირე აზიიდან გარბის მიზეზი იქრუსის ჯარის შეჭრაა.

გერმანელი გაზეთები ყოველ დღეაღნიშვნენ, რომ კავკასიის ასპარეზზე დიდძალი ჯარები გაიგზავნაო. ეს ხმები რუსეთის ავტორიტეტულ წრეებში სიმართლეს მოკლებულად მიაჩნიათ

—

სივაში ოსმალეთმა ახალ ახალი ჯარები გაგზავნა.

—

ენვერ-ფაშა სტამბოლში დაბრუნდა, საიდანაც ის ბალკანეთის ფრონტზე წავა. ცნობილ ერვეს განუცხადებია ომი მანამდის გაგრძელდება სანამ ყველა მებრძოლი მხარე საკმაოდ არ შესუსტდება და თავის საწადელს არ აისრულებსო.

— —

ვერდენის ფრონტზე დაიღუპა ნეიტრალ სახელმწიფოს ერთი ჟურნალისტი იაპონიაში სახედრო სამზადისია.

— —

ამერიკა სამხედრო საზღვაო ფლოტს აღიარნბს. ზელანდიის კუნძულებთან კვლავ გამოჩნდა გერმანელების ნაღმოსანი.

— —

ბელგიაში გერმანელები ამ ბოლო ხანს მეტს მოქმედებას იჩენდენ დიქსმიუდესთან გამცხარებული ბრძოლაა.

## რუსეთიდან მოწერილი ამბები.

(საკუთ. კორესპონდენტისაგან)

— როგორც სარწმუნოთ იუწყებიან ბიუროკრატიულ წყაროებიდან, მთავარი საგანი იმ თათბირისა, რომელიც ხდება ეხლა ბ. შტიურმერისა გუბერნატორებთან პეტროგრადში, შეეხება გამორკვევას იმ კითხვებისას, რაიც ეხება მეხუთე სათათბიროში დეპუტატების არჩევნებს, რომელ თათბირშიც იმუშავებენ ზომებს, რომლითაც შეიძლება გავიდეს მთავრობისათვის სასურველი დეპუტატები.

— —

სახალხო განათლების მინისტრმა დაამტკიცა შემდეგი კანონი კერძო საშვალო სასწავლებლებში გამოცდების შესახებ. მოწაფის ცოდნის დასაფასებლათ მიქცეულ უნდა იქნას მთავარი ყურადღება მოწაფის წლიურ ნიშნებს, დეპუტატის ნიშანს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

— —

სახალხო განათლების მინისტრმა დაუგზავნა მოწერილობა ოლქის მზრუნველებს, რომ უმაღლესად ნაბრძანები იქნა საშვალო სასწავლებლის იმ მოწაფეებს, რომლებიც დაიბადენ 1897 წლამდი დაათავებენ სასწავლებელს ახლა, მიეცეს ვადა 1916 წლის პირველ ოქტომბრამდი.

— —

პოლიციის დეპარტამენტმა საბოლოოთ გადასწყვიტა, რომ არავითარი მუშათა საერთო კრების ნება არ იქნას ნება დართული.

— —

სინოდალურ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სიტყვამ, რომლითაც მიმართა გლეხობას ეკატერინოსლავის ეპისკოპოსმა აგეპიტმა; სიტყვაში გაატარა ის აზრი, რომ ებრაელები მშიშარა არიანათასობით ნებდებიან ტყვეებათ და უვარდებიან მტრებს ხელში. სინოდმა მიიღო ცნობა აგრეთვე სარატოვიდან, რომ ადგილობრივმა ეპისკოპოსმა ამბროსიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც მოუწოდა რუსს მცხოვრებთ სდევნონ საზოგადოთ ყველა ებრაელი და კერძოთ ადგილობრივი ებრაელები. მისმა სიტყვამ ძლიერ აალელვა რუსი მცხოვრებნი ებრაელთა წინააღმდეგ. როგორც იუწყებიან, უწმიდეს სინოდის ობერ-პროკურორ ა. ვოლჟინს გადაუწყვეტია სასტიკი შენიშვნა მისცეს ზემო მოხსენებულ ეპისკოპოსთ და გააფრთხილოს, რათა ასეთი რამ არ იქნას განმეორებული.

— —

საკვირველ ამბავს გადმოგვცემენ ოდესიდან. ქ. ოდესაში ცხოვრობდა ძლიერ ღარიბი მოხუცი ქალი 72 წლისა ვინმე ა. სიჩევა მოხუცებული დამბლა დაცემული ყოფილა, ბრმა და არ შეეძლო განძრევა შვილი მისი ყოფილა ერთ ერთი ქარხნის მუშა ამის მეტი მომვლელი მას არ ყოლია. ერთ დღეს, როცა შვილი სამუშაოდ წასულა, მოხუცი ქალი გადმოვარდნილა ლოგინიდან იატაკზე. მას დასევია აუარებელი ვირთხა და დაუჭამია საბრალო მოხუცი. საღამოს სახლში დაბრუნებულ შვილს შემდეგი სურათი უნახავს: დედა მკვდარი იატაკზე აგდია, და გარს ახვევია ვირთხები, რომელთაც სახე მთლად ამოუჭამიათ. საერთოდ მოხუცი სრულიად დაჭმული და სისხლში მოსვრილი ყოფილა.

— —

ხარკოვის კერძო საშუალო სასწავლებლების გამგეებმა შუამდგომლობა აღძრეს სამინისტროში, რათა მოწაფეები არ იქნეს გაყვანილი ჯარში. სწავლის დასრულებამდი.

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

კვირას, 8 მაისს, ძვირფასი მგოსნის, იროდიონ ევდოშვილის ქალ. თბილისში დაკრძალვის დღეს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში და მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იყო მგოსნის სულის მოსახსენიებლათ წირვა და პანაშვიდი. საკათედრო ტაძარში, როგორც მოხსენებული გვქონდა, მწირველი იყო ყ.-დ სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი, რომელმაც პანაშვიდის დაწყებისას შესაფერი და მგრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. თავის სიტყვაში ყ.-დ სამღვდელომ ნათლად გაარკვია მგოსან-მწერალთა მწარე ბედი ჩვენს ცხოვრებაში. მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში პანაშვიდის გადახდის შემდეგ შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს მღვდ. სპ. ლეკვეიშვილმა, ალ. წერეთელმა, ბ ებრაელმა სტუდ. გ. ფიჩხაძემ. პანაშვიდებს დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

ეს რამდენიმე თვეა, რაც ქუთაისის ქალაქის სამკითხველოს გაზ. „საქართველო“ არ მოსდის მოთხოვნილება კი ამ გაზეთისა, საკმაოდ გაიზარდა და გვიკვირს, რა მიზეზია, რომ მკითხველთა უმრავლესობისათვის ქალაქის სამკითხველოში ეს გაზეთი არ მოიპოვება?!

◆ სოფ. პატრიონის (რაჭა) მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს არ გადაიხადონ დღეობა ამაღლება. ვინც ამ გადაწყვეტილებას დაარღვევს, დამნაშავემ ადგილობრივ სკოლის სასარგებლოთ ხუთი თუმანი უნდა წარმოადგინოს.

◆ კომერციულ სასწავლებელში მოსწავლეთა ნაწარმოების გამოფენა (ხატვისა და კალიგრაფიის შესახებ) კიდევ გაგძელდება 11 და 12 მაისს (დიაა 5 საათიდან საღამ. 7 საათამდე). შესვლა უფასოა.

◆ შაბათს, 7 მაისს, ქართულ თეატრში ჩვენი დამსახურებული მსახიობის ვალერიან შალიკაშვილის სასარგებლოთ გაიმართა საღამო. საღამომ კარგათ ჩაიარა და საკმაო საზოგადოებაც დაესწრო.

◆ კვირას, 8 და ორშაბათს, 9 მაისს, ქართულ თეატრში, **მიხეილ კავსაძის** ლოტბარობით, გაიმართა კონცერტი. საზოგადოება ორივეჯერ ბლომად დაესწრო.

◆ სოხუმის საურთიერთო ნდობის საზ. ბანკის თავჯდომარეთ დიდი ხმის უმეტესობით აურჩევიათ კონსტ. მიხ. გიგინეიშვილი.

◆ ქ ნ გალინა ლორთქიფანიძის ასულმა შუამდგომლობა აღძრა ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს მას გამოსცეს ქუთაისში ქართულ ენაზე ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „კვალი“.

◆ მთავრობის განკარგულებით, გუშინ, 10 მაისს, ქუთაისის ხარაზოვის ბაღში დაიწყო ცხენების მობილიზაცია

◆ კვირას, 8 მაისს, ქალაქის ბაღში ქარ.-შორის წ. კ. გამავ. საზ. ქუთაისის განყოფილების სასარგებლოთ, დანიშნული სახალხო სეირნობა, ამინდის გამო, შემდეგ კვირისათვის გადაიდვა.

ორშაბათს, 9 მაისს, დილის მატარებლით რიონის სადგურზე გაიარა ბათომისაკენ მიმავალმა საგზო მინისტრმა, ტრეპოვმა.

◆ ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას განუზრახავს ქუთაისში საგასტროლოთ მოიწვიოს გამოჩენილი დრამატურგი სუმბათაშვილი (იუჟინი). ის ამ ჟამათ თბილისში იმყოფება ის მონაწილეობას მიიღებს 5 მოქ. „ღალატის“ წარმოდგენაში.

◆ 1 ივნისიდან, ქუთაისის ქართულ თეატრს დაუწყებენ შეკეთებას, რომელიც გაგრძელდება ორ თვეს.

◆ შაბათს, 7 მაისს, ქ. ფოთში გრ. ხაინდრავამ გამართა ლექცია-სალიტერატურო განყოფილებით. პირველ განყოფილებაში ია ეკალაძემ წარმოსთქვა სიტყვა იროდიონ ევდოშვილის შესახებ და დაახასიათა მგოსნის მწარე ცხოვრება და მისი

# ომის დღიური.

რუსეთის ასპარეზზე ბრძოლამ გარკვეითი ხასიათი ჯერაც ვერ მიიღო. მთავარი ბრძოლის ადგილი გერმანელებს ჯერაც არ ამოურჩევიათ, რაიც მოწმობს იმ მოსაზრებას, რომ გენერალ ჰინდენბურგის მიზანია მოწინააღმდეგე მუდამ გამოურკვეველ მდგომარეობაში ამყოფოს და მეორე მოულოდნელად სადმე თავს დაესხას.

**ვერდენთან** ბრძოლა ძველის სიმძაფრით მიმდინარეობს, არსებითი ცვლილება, რომელსაც რაიმე გავლენა ექნებოდა ვერდენის ბედზე, არსად არ მომხდარა.

**იტალიის ასპარეზზე** ბრძოლა თანდათან ვითარდება და საერთო ყურადღებას იპყრობს.

**კავკასიის ასპარეზზე** ოსმალეთის ჯარებს ენვერფაშა ხელმძღვანელობს ახლა მთავარ შემოტევას ერძიჯანის მხრივ ელიან, სადაც ოსმალებს ბევრი ახალი ძალები მოუყვანიათ.

---

პოეზიის მნიშვნელობა მიმართულება. მეორე განყოფილებაში გრ. ხაინდრავამ წაიკითხა ლექცია „მომავალი ზავი და საქართველო“ მესამე განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს ლადო მაჭავარიანმა, მ. ანაშვილმა, სიმ. წეველმა, ნ. მიწიშვილმა და აკაკი ნიშნიანიძემ წაიკითხა ჯაჯუ ჯორჯიკიას მოთხრობა. საღამომ საერთოდ კრგათ ჩაიარა. საზოგადოებიც საკმაოთ დაესწრო.

✦ 8 მაისს, ქ. ფოთში მოხდა ცხენების მობილიზაცია. მთავრობის განკარგულებით, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ კარტისა და სხვა ასეთი გასართობების სათამაშო დუქნები დაკეტა.

✦ 8 მაისს, ფოთის საკათედრო ტაძარში ყ-დ სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზმა ლეონიდმა წირვის შემდეგ გადაიხადა **იროდიონ ევდოშვილის** სულის მოსახსენებელი პანაშვიდი პანაშვიდის დაწყებისას დეკ. კელენჯერიძემ წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა.

✦ 10 მაისს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში კ წურინოვს დაჰკარგვია საფულე, რომელშიაც იყო 47 მ. და საბუთის ქაღალდები. მნახველს სთხოვს წარმოადგინოს საბუთები მაინც, ელექტრო-თეატრ ამპირში რომელსაც არავისთვის არაფერი მნიშვნელობა არ აქვს.

✦ როგორც შორაპნის მაზრიდან გვატყობინებენ, ბევრ სოფელში 9 მაისს დიდი სეტყვა მოსულა და სრულიად წაუხდენია ვენახები და ხეხილები.

✦ სად სამტრედიიდან ამ ჟამათ დიდძალ დაფნის ფოთოლს აგზავნიან.

✦ იოსებ იაკობიშვილისათვის ივანე ბერეჟნოვს დაუტუუბია 500 მ. და დაპირებია 5 ოქროს საათის მიყიდვას სამხედრო ლაზარეთში მწოლარე ბერეჟნოვი ფულის მიღების შემდეგ მიმალულა. გამოძიების დროს ბერეჟნოვს უთქვამს, რომ ასეთი შემთხვევა არ ყოფილაო.

✦ ლაილაშში (ლეჩხუმის მაზრა) ეფრემ მელიაშვილს გაუტეხეს დუქანი და წაიღეს 205 მანეთად დირებული სხვადასხვა საქონელი.

✦ ბაზრის ქუჩაზე ვიღაც უცნობებს გაუტეხიათ ჯვარიშეიშვილის დუქანი და წაუღიათ 700 მან. ღირებული საქონელი.

✦ წედ. რეალური სასწავლებელი შემდეგმა მოწაფეებმა დაასრულეს: მ. აბაშიძემ, ალ. ადამიამ, სიმ. ასათიანმა, გიორგი ბუაჩიძემ, შალვა ბუაჩიძემ, ამ. გაბუნიამ ლ. გადუსტოვმა შ. გვიჩიძემ, ზიმ. გიორგაძემ ამ გიორგაძემ, კოვ დევდარიანმა, ილ კბილაძემ, შალვა კილაძემ ალ. კინწურაშვილმა. ალ კირილოვმა, კალ. კვარცხავამ, ზიძ. მაჭავარიანმა, შალვა მამალაძემ, მ. მიქელაძემ, კონ. მესხმა ალ. ნინუამ იობი სულავამ გრ. თევდორაძემ. რ. ფოფხაძემ, ზ. ხუსკივაძემ ან. წულეისკირმა, კაპ. ძიძავამ ალ. შარაშიძემ, არ. უგრეხელიძემ და პეტრე ოდიშარიამ.

✦ ქუთაისის სასაკლაოზე აპრილისთვის განმავლობაში დაუკლავთ მსხვილი საქონელი 587 სული, ხბო 127-წვრილფეხა 780-და ღორი-98.

✦ გუბერნატორმა ნება დართო ვაჟაფშაველას სახელობის სამკითხველოს გამგეობას ხსენებულ სამკითხველოს სასარგებლოთ გამართოს 13 მაისის სეანსები ელექტრო თეატრ, „რადიუმში“

✦ კვირას, რვა მაისს, ქ ქუთაისის წმ. გიორგის სასაფლაოს ეკლესიაზე ახალგაზდობის თანდასწრებით ადგილობრივი მღვდლის ირაკლი ბაკურაძისაგან შესრულებულ იქმნა წირვა და პანაშვიდი ახლად განსვენებულის მგოსნის იროდიონ ევდოშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის წინ ხსენებულმა მღვდელმა ბაკურაძემ შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ს. ჩოჩხათის (ოზურ მაზ ) მცხოვრებთ ნება დართო დააარსონ მომხმარებელი საზ. „ეკონომია“.

✦ ამას წინათ ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ ქალაქის საავადმყოფოსათვის აღებულ ვალში დარჩენილი 19,203 მან. და სამი აბაზი გადაიხადოს ქალაქმა ნაწილ-ნაწილათ. ამის შესახებ გუბერნატორი იტყობინება, რომ ასეთი დადგენილება, თანახმათ სამოქალაქო წესდებისა, უნდა გატარდეს ქალაქის საბჭოში და რადგანაც ეს კანონი დარღვეულია, საქმის მსვლელობა შეჩერებულიაო; საჭიროა ამასთანავე გარკვეული იყოს, თუ რომელი წლიდან შეუდგებით ფულის გადახდაო.

---

## ირ. ევდოშვილის დაკრძალვა თბილისში.

დილის 9 საათიდან ქვაშვეთის ტაძარს დიდძალი ხალხი მოაწყდა. განსვენებული მგოსნის ცხედარი ყვავილებით იყო შემკული. ნაწირვებს, 12 საათზე, ძვირფასი ცხედარი საყდრიდან გამოასვენეს და გააჩერეს საყდრის ეზოში აქ ექიმმა ივ. გომართელმა და ონის ებრაელთა რაბინმა დავით ბააზოვმა სიტყვები წარმოსთქვეს. შემდეგ სამგლოვიარო პროცესია გაემართა გოლოვინის პროსპექტით. მგოსნის ცხედარი დიდუბის ეკლესიამდე სულ ხელით მიჰქონდათ ქართველ მგოსნებს, საზოგადო მოღვაწეებსა და განსვენებულის ახლო მეგობრებს. სახალხო სახლთან მგოსანს სიტყვა უთხრა სოხუმის ქალაქის მოურავმა ნიკო თავდგირიძემ. შემდეგ კიდევ სიტყვები წარმოსთქვეს მუშების წარმომადგენლებმა და რამდენიმე კერძო პირმა. ნაშუადღევის ოთხის ნახევარზე მგოსნის ცხედარი დიდუბის საყდარში მიასვენეს, წესრიგი მშვენივრად იყო დაცული. მცირე პანაშვიდისა და სიტყვის შემდეგ ძვირფასი მგოსნის ცხედარი სამუდამოთ მიაბარეს სამშობლო მიწას.

---

## სამეგრელოს თავად-აზნაურთა წოდებრივი საკითხის ისტორია.

დასავლეთ საქართველოს ყველა ნაწილების თავად-აზნაურები ჯერ კიდევ არ არის ერთნაირი უფლებებით აღჭურვილი. 99 პროცენტი სამეგრელოს თავად-აზნაურობისა არ არის ცნობილი რუსეთის იმპერიის თავად აზნაურებათ.

იმპერატორის ალექსანდრე პირველის მანიფესტით ყველა ქართველ თავადთა და აზნაურთ მიენიჭათ ის უპირატესობა-უფლებები, რითაც სარგებლობს რუსეთის თავად-აზნაურობა; ესე იგი წოდებრივი თვითმართველობა, გუბერნიისა და მაზრების წინამძღოლთა არჩევა, დეპუტატთა საკრებულო და სხვ. ამის სისრულეში მოსაყვანათ ქართლ-კახეთსა და იმერეთ-გურიაში დაარსდა კომისიები, რომელთაც შეადგინეს დაწერილებითი სია თავადთა და აზნაურთა და წარადგინეს სენატში უმაღლესად დასამტკიცებლათ, რაც შესრულებულ იქნა. რაც შეეხება სამეგრელოს, იგი მაშინ ავტონომიურ სამთავროს შეადგენდა. რუსის მთავრობამ სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს მოსთხოვა ამგვარივე სია ოდიშის თავად-აზნაურობის რუსეთის თავად-აზნაურებათ დასამტკიცებლათ. ეს ის დრო იყო, როდესაც მთავრობას დადიანთან მოლაპარაკება ჰქონდა გამართული დინასტიური უფლების დათმობის შესახებ. დადიანი ამ წინადადებას არ თანაუგრძნობდა და მოლაპარაკებასაც აჭიანურებდა. სწორედ ასევე გააჭიანურა მან ხსენებული სიის შედგენაც. ბოლოს რამდენიმეჯერ განმეორების შემდეგ მთავარმა თავადთა ᲓᲐ აზნაურთა სიების შედგენა მიანდო მაზრის მდივანბეგების კომისიას, რომლის თავმჯდომარეთ იყო გიორგი დადიანი მდივანბეგთა კომისიამ შეასრულა ეს საქმე და სამეგრელოს ყველა მაზრების თავად-აზნაურთა სია მთავარს წარუდგინა ეს სია დიდხანს მთავრის კანცელარიაში დარჩა ამასობაში მთავარი დავით დადიანი გარდაიცვალა. იმპერატორის რესკრიპტით მთავრათ აღიარებულ იქნა მცირეწლოვანი დადიანი ნიკოლოზ და რეგენტათ დაინიშნა დედა მისი დედოფალი ეკატერინე.

დედოფალმა ეს სია რუსეთის მთავრობას გადასცა, მაგრამ აქაც მან დასრულება არ მიეცა. გაიარა რამდენიმე ხანმა და სამეგრელოში მოხდა გლეხთა აჯანყება. დედოფალმა თავისი მაზლის გენ.-ლეიტ. გრიგოლ დადიანის რჩევით აჯანყების ჩასაქრობად რუსეთს ჯარი სთხოვა რუსის ჯარმა აჯანყებულნი დაამშვიდა, ხოლო დედოფალს გამგებლობა ჩამოართვეს და საცხოვრებლათ პეტერბურგს გადიყვანეს. მთავრის ნიკოლოზ დადიანის სრულ-წლოვანობამდე სამეგრელოს საქმეების მმართველად დაწესდა ეგრეთ წოდებული უზენაესი საბჭო, რომელსაც რუსი გენერალი თავმჯდომარეობდა. ხოლო, როცა ნიკოლოზ დადიანი სრული წლოვანი შეიქნა, მან თავისი დინასტიური უფლებები რუსეთის მთავრობას დაუთმო მილიონ მანეთად სამეგრელო რუსეთთან შეერთებულად და ქუთაისის გუბერნიის ნაწილად, გამოცხადდა.

აი, სწორედ ამ პოლიტიკურმა გარემოებამ შეაფერხა სამეგრელოს წოდებრივი საკითხის დასრულება...

მთავრობის ბრძანებით ქუთაისში შესდგა სამეგრელოს წარჩინებულ პირთა ეგრეთ წოდებული პირველი კომისია, რომელსაც უნდა შეედგინა ყოფილი სამთავროს თავადთა და აზნაურთა სია.

კომისიას რაღაც უწესობა დასწამეს და მის მიერ შედგენილი სიაც უკ[illegible] აღიარეს. ცოტა ხნის შემდეგ გუ[illegible] გუბერნატორმა გრ[illegible] მეორე კომისია—შემსწორებელი[illegible] ამ შემსწორებელმა კომისიამ[illegible] პირველი კომისიის ნამუშევარ[illegible] შეადგინა ახალი სია სხვადასხვა [illegible] ბათა და მიზეზთა მიხედვით მთავრ[illegible] სიაც უკანონოთ აღიარა. დიდმა [illegible] გაიარა და სამეგრელოს მაზრებს, ზუგ[illegible] სენაკ ლეჩხუმს მარშლები არ ყოლია. თითეულ ამ მაზრებს მთავრობამ დროებ[illegible] რწმუნებულთა არჩევის უფლება მისცა რომელთაც მარშლის ზოგიერთი უფლე[illegible] ბები მიანიჭეს.

დიდი ხნის შემდეგ გამოიცა ახალი კანონი, რომლითაც სამეგრელოს თავად აზნაურთა წოდებრივი უფლებების გარჩევა მიენდო ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოს, ამ უკანასკნელს უნდა ეხელმძღვანელა მთავრის დავ. დადიანის განკარგულებით შედგენილი სიით და სენატში დასამტკიცებლათ გასაგზავნათ უნდა ეცნო მხოლოდ ის პირნი, რომელნიც სხვათა შორის რაიმე საბუთს წარმოადგენდენ სამეგრელოს მთავრის, იმერეთის მეფის ან ოსმალეთის ხონთქრის ხელ-მოწერილს, სადაც ესა თუ ის პირი თავადათ ან აზნაურათ იხსენიებოდა. ამან დაჰბადა დიდი აურ ზაური. გაჩნდა ყალბი საბუთები. გააზნაურების სურვილმა უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. აზნაურობის საბუთები მოჰქონდათ იმისთანა პირთ, რომელთა გვარი არას დროს აზნაური არ ყოფილა. დეპუტატთა საკრებულო მიუხედავათ იმისა, რომ ესენი აზნაურთა გვარს არ ეკუთვნოდნენ, მაინც ღებულობდა მათგან საბუთებს ცნობილმა აზორდიამ, როგორც ამბობდენ, ყალბი საბუთების ფაბრიკაცია „თვით დეპუტატთა საკრებულოში“ მოაწყო. ამას მოყვა სამეგრელოს თავად-აზნაურთა საქმეების გარჩევის შეწყვეტა უმაღლესი ბრძანებით განსაკუთრებულ განკარგულებამდე, აზორდიასი და დეპუტატთა საკრებულოს მოხელეთა გასამართლება და გუბერნიის მარშლის სენატის მიერ სამართალში მიცემა და გადაყენება.*) მის შემდეგ ეს საკითხი დავიწყებას მიეცა. კიდევ ერთმა გარემოებამ შეუწყო ხელი ამ საქმის შეჩერებას. სენატში აღიძრა საკითხი ამიერკავკასიის ყველა ერების წოდებრივი უფლებათა განხილვის შესახებ და სენატმა სამეგრელოს თავად აზნაურთა საკითხიც ამას შეუერთა.

ამიერკავკასიაში მცხოვრებ ერთწოდებრივი საკითხის გადაჭრა ერთობ ძნელ საქმეს შეადგენს, რადგანაც მუსულმანთა ხანები, ბეგები აღები, აღალარები და სხვე-

*) მაშინდელი გუბერნიის მარშალი სენატმა გაამართლა.

---

## რას გვეუბნება ისტორია.

წერილი მესამე.

(პოლიტიკური ბრძოლა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს).

20 სექტემბერს 1792 წ. შეიკრიბა კონვენტი (371 დეპუტატი 749-ში) და აირჩია პრეზიდენტად პეტიონი, მის თანაშემწედ შესანიშნავი ენციკლოპედისტი და ფილოსოფოსი კონდორსე და მდივნებად ეგრეთწოდებული ჟირონდისტების მეთაური ბრისსო და სხვა ჟირონდისტები. ამით კონვენტმა აღიარა თავისი უკმაყოფილება რობესპიერისა ᲓᲐ მარატისადმი ᲓᲐ, შეიძლება ითქვას, თვით პარიზის დიქტატურისადმი.

21 სექტ 1792 წ კონვენტმა აღიარა, რომ მის მიერ დაწესებული კონსტიტუცია ხალხის მიერ უნდა იქნას მოწონებულიო, ე. ი. აღიარა ეგრეთწოდებული რეფერენდუმი (დანტონის წინადადებით).

პარიზის დეპუტატმა კოლოდერბუამ მოითხოვა მეფობის გაუქმება, მის წინადადებას კრებამ ტაშის გრიალით უპასუხა, გააუქმა მცირე კამათის შემდეგ მეფობა და მეორე დღეს, ე ი. 22 სექტემბერს 1792 წ, აღიარა რესპუბლიკა. შემდეგ, 25 სექტ 1792 წ., კონვენტმა „ერთიანი და განუყოფელი“ (დანტონის წინადადებით) რესპუბლიკა გამოაცხადა.

ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება მეფობის გაუქმებას. საგულებელი იყო, რომ სადეპარტამენტო მოხელეები არ მოიწონებდენ რესპუბლიკის დაწესებას, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. 43-მა სადეპარტამენტო ადმინისტრაციამ (სულ 83 დეპარტამენტი იყო) კონვენტს მოწონების ადრესები გამოუგზავნა, დანარჩენებს კი კონვენტის საქციელი არა თუ არ დაუგმიათ, არამედ პირიქით თანაუგრძნეს.

ჯარიც მიემხრო რესპუბლიკას 26 სექტემბერს გენერალი დუმურიე სწერდა ფინანსთა მინისტრს კლავიერს: მოხიბლული ვართ, რომ გავბედეთ და აღვიარეთ რესპუბლიკა“.

26 სექტემბერს კონვენტის ემისარებმა კარრამ, პრიერმა (მარნიდან) და სილერიმ დაათვალიერეს არდენის ჯარი დუმურიეს თანადასწრებით. ცხენზე შემჯდარმა პრიერმა, რომელსაც, „რკინის“ ფილტვები ჰქონდა, მიჰმართა ჯარს რესპუბლიკური სიტყვით. მისი ხმა შორს ისმოდა. ჯარი აღტაცებით მიესალმა რესპუბლიკას. მხოლოდ ზოგიერთი არ იყო კმაყოფილი და ერთმა კიდევაც გაბედა და მიჰმართა პრიერს კითხვით: „ვისთვისღა უნდა ვიბრძოლოთო?“—თქვენ უნდა იბრძოლოთ საკუთარ კერათათვის, ცოლშვილის, ერისა და რესპუბლიკისათვის და თუ გაკლიათ ხალისი და მამაცობა, შესწიროთ თავი ამ კეთილშობილ საქმეს,—მიბძანდითო,—მიუგო ემისარმა.

ვალმის შემდეგ დუმურიემ აღნიშნა თავის „მოგონებებში“, რომ ჯარები ნაკადულის სისწრაფით გადავიდენ რესპუბლიკისკენო.

მაშასადამე რესპუბლიკა აღიარეს ქალაქებმა და დეპარტამენტებმა, ჟირონდისტებმა და იაკობელებმა, მოხელეებმა და ჯარებმა ერთი სიტყვით, ეს ერის ერთსულოვანი წადილის შედეგი იყო.

მაგრამ რამ შეაკავშირა და შეათანხმა ამ საკითხში მთელი ერი? ამის გასაგებად საჭიროა ზოგიერთი ფაქტის აღნიშვნა

გადახვეწილი თავადაზნაურობის ზეგავლენით ავსტრიის ახალგაზდა იმპერატორი ფრანც II, რომელმაც 1 მარტ. 1792 წ. ლეოპოლდ II-ის ტახტი დაიმკვიდრა, საფრანგეთისთვის ომის გამოცხადების მომხრე იყო.

ლეოპოლდ მეორესთან 7 თებერვალს 1792 წ. დადებული ხელშეკრულობის ძალით მას პრუსიის მეფეც (ვილჰელმ II) უნდა დახმარებოდა.

ამავე დროს საფრანგეთის სამინისტრო ჟირონდისტების ხელში იყო, რომელთაც ომი მეფის უფლების შესამცირებლად საუკეთესო საშუალებად მიაჩნდათ, გამარჯვებას კი იმ იმედით ელოდენ, რომ მათი ფიქრით თვითეულ სახელმწიფოში ხალხი რევოლუციას მიემხრობოდა. ერთი სიტყვით ჟირონდისტები ამ დროს ეგრეთწოდებულს მებრძოლს რევოლუციურ-დემოკრატიულ პროპაგანდას აწარმოებდენ. და 20 აპრილს 1792 წ. ავსტრიას ომი გამოუცხადეს, რომელიც დროგამოშვებით შესვენებითურთ 23 წელს გაგრძელდა და თითქმის მთელი მაშინდელი განათლებული ქვეყანა ჩაითრია.

მეორე მხრით ამ ომს საფრანგეთისთვის უდიდესი სოციალური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან რევოლუციისა ᲓᲐ საერო თავდაცვის საქმე ერთად შეადუღა და ამ დიდი მიზნით მთელი ერი ფეხზე დააყენა და მჭიდროდ შეანაწევრა. ომი—იგივე რევოლუციური აქტი იყო, რომლის ინიციატივა და მეთაურობა ჟირონდისტებს ეკუთვნოდათ. ამიტომ ამ დროს ძალა გავლენა და უფლება მათ ხელში იყო, მათი იდეა იმარჯვებდა.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი იკობელი, მაგალითად, რობესპიერი, ვერ ვაიტაცა მოძრაობამ. საზოგადოდ ამ პიროვნების შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ ისტორიულ აქტებს თვით კი არა ჰქმნიდა, არამედ უკან მიჰყვებოდა.

როგორცა ვსთქვით, ამ დროს მოძრაობის სადავე ჟირონდისტებს ეჭირათ ხელში. მათი ბრალი იყო, საერო საკანონმდებლო კრებამ რომ 9 ნოემ. 1791 წ. დაადგინა: თუ კი ემიგრანტები 1 იანვრამდის 1792 წ საფრანგეთში არ დაბრუნდებიან, სიკვდილით უნდა დაისაჯონო. ამ დადგენილებამ გამოიწვია მეფის პროტესტი ჟირონდისტებისავე გავლენით იქმნა დადგენილი 29 ნოემბ. 1791 წ. დაუფიცებელი მღვდლების გაძევება, თუმცა მეფემ არც ეს დადგენილება დაამტკიცა.

ჟირონდისტებისავე საქმე იყო მშვიდობის მოყვარე კაბინეტის გადაყენება და ახალის, ჟირონდისტულის მოწვევა. მათვე აიძულეს მეფე მოსულიყო 20 აპრილს 1792 წ. საკანონმდებლო კრების სხდომაზე და მოეთხოვა ომის გამოცხადება ავსტრიისთვის.

ჟირონდისტებივე იაკობელებთან ერთად სასახლეს ავსტრიის კომიტეტს უწოდებდენ და ლეიბგვარდიის გაუქმებასა და პარიზში 20,000 ფედერატის (მილიციონერის) შემოშვებას მოითხოვდენ

ბოლოს, როდესაც მეფემ ჟირონდისტული სამინისტრო დაითხოვა 20 ივნისს 1792 ჟირონდისტებისავე წაქეზებით დაეცა ხალხი მას ტუილერის სასახლეში და შეურაცხყო (კაპიტანმა ნაპოლეონ ბონაპარტემ, რომელიც ამ დროს სასახლის წინ მიდიმოდიოდასთქვა ამ ბრბოს ოთხი ზარბაზნით გავფანტავდიო“) ეს რევოლუციური აქტი იყო, რადგან ხალხში მეფის პატივისცემა კიდევ ისე ძლიერი იყო, რომ მისი შეურაცხყოფის გამო ყოველი მხრიდან პროტესტები მოდიოდა.

ამ დროს პარიზში მოვიდა ლაფაეტი, რომელმაც სასახლეს მხარი არ დაუჭირა. სასახლე განმარტოებული დარჩა. ვერნიომ საკანონმდებლო კრების სხდომაზე მამული განსაცდელ ქვეშ გამოაცხადა და მეფეს მტრების მოკავშირე უწოდა სამინისტრო გადადგა. მაგრამ ვერნიო იყო. რევოლუციის მოახლოებულიყო,

ამასვე—ომის ამბებმაც ხელი შეუწყო. მთავრობამ საზღვრებზე ! ამი კორპუსი გაგზავნა საშუალოს დაფაეტი უფროსობდა და 100,000 მოხალისე მოიწვია.

რეინზე პრუსიელები გაჩნდენ და ბრაუნშვეიგის ჰერცოგმა მანიფესტი გამოსცა: ლუი XVI ს რომ თავზე თუნდ ერთი ბალნი მოაცილონ, მთელ საფრანგეთს გავანადგურებო.

პირველი შეტაკება რესპუბლიკის დამარცხებით დაიწყო. პრუსიელებმა საზღვარი გადმოლახეს და ლონგვი და ვერდენი აიღეს,

და, როგორცა ვსთქვით, 10 აგვისტოს დღე იმის შედეგი იყო, პარიზში რომ გაიგეს, მტერი ვერდენს უახლოვდებაო 10 აგვისტო კი როგორცა ვსთქვით, პარიზის რევოლუციური კომუნის სა[illegible] იყო.

ნათქვამიდან ჩანს, რომ რევოლუც[illegible] ინიციატივა ორ ორგანიზაციას ეჭირა ხ[illegible] ში. საერო კრებასა (ჯერ გენერა[illegible] შტატებს, რომელიც დამფუძნებელ კრ[illegible] გადაიქცა, შემდეგ საკანონმდებლო[illegible] ბოლოს (კონვენტს) და პარიზის სა[illegible] ქო თვითმართველობასა და ეს ორ[illegible] ვოლუციური მემოქმედე ძალი ერ[illegible] ნეთს შეელოდა. რომ დამფუძნებელი კრ[illegible] ბა რევოლუციურ გზას არ დასდგომო და, 14 ივლისი 1789 წ. (ბასტილიის აღება) არ იქნებოდა. მეორე მხრით ჯერ დამფუძნებელმა და შემდეგ საკანონმდებლო კრებამ თავისი რევოლუციური დეკრეტებით ფეოდალიზმი და ძველი, დრომოჭმული სასულიერო, ადმინისტრაციული და კორპორაციული ორგანიზაციები ძირიან-ფესვიანად ამოაგდეს, რევოლუციის გზა გაუწმინდეს

მაშასადამე მთელი ერის რევოლუცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ვა მაზრასა და პროვინციებ... ...ა უპირატესობისა და მნიშვ... ...ქნენ, მაგალითად, ერთ მაზ... ...ენებურ აზნაურზე ნაკლები ... მეორე მაზრაში ის თავადს ... ხანების და სხვა წოდებათა ... მათი წოდებრივი საკითხის ...ალების, ისტორიული ცნო... ...ავ. მოგროვება ბევრს დროს ...ებს და სამეგრელოს წოდებრივი ... მათთან დაკავშირება იქნებოდა ... თუ არა სამუდამოდ, დიდი ხნით ... მიყუჩება.

...ვარი მდგომარეობა ოდიშის თავად...ერთა და მათი დამოკიდებულობა დე...ტთა საკრებულოსთან ძალიან არა ...ეველი და არა ნორმალური არის ...მართლიანად იწვევს დიდს უკმაყო...ებას. სამეგრელოს თავად აზნაურობა, ... როგორც სხვები, იხდის ყოველგვარ ...ახადს, დეპუტატთა საკრებულოს, ...ლთა კანცელარიების, თუ სხვა რამე ...ებს, რომელსაც ითხოვს თავად-აზნა... თვითმართველობის შენახვა, ხოლო ...ამ ხარჯების განაწილებაში, თავად...ერთა არჩევნებში თუ რაიმე საქმეში ... ამოღების უფლება არა აქვთ. თავად...ერთა კრებებზე არა ეროჯერ აღძრუ...ამაზე ლაპარაკი.

...როგორც გავიგეთ ახლანდელს გუბ...ალს თავ. დავით ნიჟარაძეს ამის შე... შუამდგომლობა აღუძრავს მეფის ...ალთან, რომელიც დაპირებია საქმის... მსვლელობის მიცემას და მის ამიერ...სიის სხვა ერთა საკითხისაგან გამო...ას

...პიროა მომავალ კრებაზე განხილულ... ეს საკითხი, თუ რა მდგომარეობა... იგი. აგრეთვე საჭიროა თავად აზნა...ა კრებამ აირჩიოს კომისია მცოდნე ...ებისაგან, რომელიც შეიმუშავებს პრო..., თუ რა წესით და რანაირათ უნდა ...სწყდეს ეს საკითხი, რომ მისი გადა...ტა მოავრობასაც გაუადვილდეს

ბ. ჯაიანი.

## საფლავზე სათქმელი.

(ი. ევდოშვილის გარდაცვალების გამო).

...ანგება ახალ-ახალ განსაცდელს გვიგ...ის და აღარ ვიცით, რამდენი უნდა ...გლახოთ, რამდენი ვითავცემოთ, რო...ი ერთი დავიტიროთ, რომელი ერთი ...ავიგლოვოთ??. რომელი ერთი ამოვ...რათ ჩვენის სახსოვარიდან, რომ ორი... დღე ამ წუთისოფლად დარჩენილი ...ვითომც, რომ თავის მოსატყუებლად ...იწვეულს ტკბილ ოცნებას მწარე სი...ევილე „პაუს-პაუს“-აღარ შესძახო...?!.

იზრდება და იმკობა საქართველოს სამოთხე ახალ-ახალის ყვავილებით, ნეტართა სულებით! იქაა მხნეობა, ძალა, დიდ ბუნებივანება და უმაღლესი სათნოება!

ილია, აკაკი, ეგნატე იაკობი, არჩილი,. ვაჟა, იროდიონი.. რომელი ერთი ჩამოთვლილი ჩვენი გამადიდებელნი, გამაადამიანებელნი და სავაშკაცოზე გამომძახებელნი! სულნო დიადნო! მუხლთ ვიდრეკ თქვენი წმინდა ხსოვნის წინაშე: თქვენ შექმენით აწინდელი საქართველო, თქვენ დააყენეთ ის ახალ გზაზე და მიაბარეთ სული უკვდავი, შვილთა და შთამომავლობისათვის.

აწ ამ ქვეყნად ვისღა მივმართო დამოვსთხოვო კვლავ სიტყვა მკვეთრი, სიტყვა ძლიერი, დაცემულისა აღმადგენელი, ხოლო განდიდებულთათვის ჭიმი და აღვირი, უკეთურთათვის გულს ლახვარ მსობელი; სიტყვა ამაყი და მხნე, სიტყვა სათნოებითა და ღმობიერებით აღსავსე უბედურების ჟამს ნუგეშათ მოვლენილი, ხოქლოამს ა წრეს გადასულობისასა საზღვარმდებელი!

აწ ვინღა მიჩვენოს თავდადება თქვენებრი, სიმაღლე და სისპეტაკე იალბუზისებური და ანკარება სულისა, ვით ანკარა და ცხოველ-მყოფელ არიან ნაკადნი და და ჩანჩქერნი სამშობლოისა თქვენისანი!..

ვის გულში ჩავიხედო, რომ იქ კვლავ გიზგიზებდეს ცეცხლი თქვენებრი, ცეცხლი ტანჯული ერის სიყვარულისა, რომელიც ასე შორს ანათებს და ჩვენთვის ესოდენ აუცილებელი მხურვალებით ახურვებს ყოველთა აჩირალდნებს საქართველოს მთასა და ბარს და თვით საპყართაც კი ამოძრავებს საერო სალაროში წვლილის შესატანად?!

ისევ თქვენ, საქართველოს თავადნო! თქვენს სიტყვასა და ანდერძში ვპვრეტ დაულეველ მარგალიტს მხნეობისას, დაუშრეტელ ძალას და უმაღლეს თავდადებას, ტანჯული ერისათვის ესდენ საჭიროს

დ. თომაშვილი

## სიტყვა,

ქართველ ებრაელის გ. ფიჩხაძისა, თქმული ი. ევდოშვილის პანაშვიდზე.

ქართველნო!

მე თავად არ ვიცი ვის მივმართო...

ვის მივმართო ის სიტყვები, რომელიც მინდა ვსთქვა, ჩვენში, ქართველ ებრაელებში, მგოსან ევდოშვილის უდროოდ დაკარგვას გამო, გამოწვეულ[illegible]?

დიაღ! არ ვიცი!

არ ვიცი მოგმართოთ თქვენ, ქართველებს, თუ—ამ ჩვენ უმადურ წუთისოფელს..

ჩვენო,—მეუბნებით?

კი, მაგრამ, თქვენ, რომ გითხრათ, რა გითხრათ?

ნუ თუ ის, რომ იქვითინეთ, ცრემლი ღვარეთ, მოსთქვით ძვირფასი მგოსნის იროდიონ ევდოშვილის დაკარგვა მეთქი?

მაგრამ ტირილი ან ცრემლთა ღვრა მარტო დიაცთა წესია და თქვენ, ქართველნი, ხომ გმირები ხართ!

დიაღ! გმირები, სულითძლი ერნი, უკვდავნი.

უკვდავნი და ძლიერნი, რადგან ლაჩარსა და მომაკვდავ ერს არ ძალუძს წარმოშვას ისეთი დაუდგრომელი ოკეანესავით მღელვარე სულის მატარებელი ძე, როგორიც იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი; ისეთი უკვდავნი შვილნი, როგორებიც იყვნენ: შოთა, ილია, აკაკი... წარმოშვას ისეთი სიმართლისა, სინათლისა და გამარჯვებისაკენ მოფრიალე დროშა—ადამიანი, როგორიც იყო დღეს თვალდახუჭული იროდიონ ევდოშვილი.

მაშ, ვის მივმართო?

წუთისოფელს? ცხოვრებას?

კარგი და, რა უთხრა წუთისოფელს?

იმ წუთისოფელს, რომელსაც არ აბია ყური, რომ გაიგონოს ჩემი სიტყვები, არ აქვს გული, რომ ენის ძალით აღეძრას სიბრალული ვისმესადმი, არ აბადია თვალნი, რომ დავანახო თავისი თქვენდამიეს უსამართლოდ მოქცევა.

დიაღ! უსამართლოდ!..

უსამართლოდ გამოგტაცათ ხელიდან ამ ერთი წლის განმავლობაში: ჯერ დიდი აკაკი, მერე ვაჟა, ეხლა იროდიონი; წაიყვანა დაგაშორათ თქვენ მათგან, ისინი კი—თქვენგან; მიითვისა თქვენი საკუთრება, მიითვისა უკანონოდ, უდროოთ; ჩაილექსა თავის თაიგულის ფურცლებში ხელით საგოგმანებელი თქვენი შვილები; საუკუნოდ ჩამოუშვა თქვენსა და მათს შორის ჯოჯოხეთის სიბნელე.

მაშ ვიღას მივმართო?

ისევ წუთისოფელსო, ისევ ცხოვრებასო—მეუბნებით?

კარგი!. მივმართავ, ვეტყვი! შეუპოვრად მოურიდებლად:

უპირო, უკეთურო წუთისოფელო!..

რას სჩადი, რას?!.

ნუ თუ, ქართველთ ცხოვრების ჩარხი უნდა ასე დაუსრულებლად ატრიალო უკუღმა შენს გარშემო?

ნუ თუ ქართველი ერი, შენ, უსირცხვილო წუთისოფელო ესე, საშინლად გძულს, გეზიზღება, რომ მისი ერთ-ერთი ბედნიერი შვილიც არ გინდა იტარო შენს ზურგზე?

ნუ თუ ქართველ ხალხს შენს ხელში ბედი არ უწერია?

ნუ თუ, მუხთალო წუთისოფელო, შენს ხელში ქართველი ერი ბოლომდის იქნება ესე, დაჩაგრული?

არ გაახარებ?

ვაი, ქართველნო!..

რაც შეეხება მებრძოლ მგოსანს, იროდიონს, მე მხოლოდ ამას გეტყვი: ნეტარება შენ ძვირფასო იროდიონ, რომ მოასწარ და გაგვშორდი ჩვენ, ყოველმხრივ დაცემულ ადამიანებს!

გაგვშორდი ისე, რომ უკანასკნელ დღეებში შენმა ყურებმა, ველარ გაიგონა შენ მიერ დაუმსახურებელი საყვედურის სიტყვები, რომელ სიტყვების გამგონიც, მომსწრენიც, და მოწმენიც შევიქენით ჩვენ.

დე, თუ ტანჯულმა სულმა შენმან აქ, სააქაოს, ვერ ჰპოვა მოსვენება, დე თუ სიცოცხლეში ვერ ეღირსე ვერ მოესწარ შენ, მებრძოლო მგოსანო, ჩვენი საერთო სამშობლოის, საქართველოს შემოსავალ კარებზე სიმართლისა და სინათლის დროშის აფრიალებას, დე, თუ შენ ველარ მოესწარ შენ მიერ ქართველთა შორის დათესილ სიმართლის და გამარჯვების ნაყოფის აღმოცენებას ჩვენ, ჩვენ, აქ დარჩენილნი მაინც მოვესწროთ-დავინახოთ საერთო განთიადი, აფრიალებული სიმართლის დროშა ჩვენი სამშობლოის, საქართველოს შემოსავალ კარებზე რომ ოდეს იქ, საიქიოს მოვალთ, მოვიდეთ ხელებ გაშლით, მოვირბინოთ მხიარულის სახით შენთან და გამახარობლოთ' გითხრათ:

გაიხარე! გაიხარე, ტანჯულო სულო!

გაიხარე, როგორც იხარის და იშვებენ დღეს იქ, საქართველოში, დარჩენილნი ჩვენი მოძმენი, ქართველნი რადგან ეღირსათ გამარჯვება სიბნელეზე, მართლის—მტყუანზე მანამდე კი, სანამ ეს მოხდებოდეს, სანამ მოისპობოდეს ჩვენს შორის ერთმანეთისადმი. ქიშპობა, ჯგუფური განხეთქილება.!. სანამ შევიგნებდეთ, რომ მგოსნის მოვალეობაა, სწერდეს იმას, რასაც სინდისი ეუბნება რასაც შინაგანი ხმა ამოსძახის, და დადიოდეს, იმ გზით საითაც მიჰყავს იგი მუზას და არა კერძო ინტერესებს; სანამ ჩვენ, უბრალო მომაკვდავნი, შევიგნებდეთ ქართველი ერის ჯგუფურ განხეთქილების მავნებლობას სიმძულვარეზე ფიქრში.

სანამ შევიგნებდეთ, რომ ცალ—ცალკე და ყველა ერთად პატივს უნდა ვსცემდეთ ისეთ პირებს, როგორიც იყო აკაკი, ევდოშვილი, პატივსა ვსცემდეთ, როგორც ერის შვილებს და არა როგორც ერთ—ერთ რომელიმე ჯგუფის კუთვნილებას.

მანამდის მეთქი ძვირფასო მგოსანო განისვენოს სულმან შენმან შოთა—ნიკოლოზ ილიასა, და აკაკისთან ერთად.

## ი. გომართლის სიტყვა.

ბარათაშვილიდან მოყოლებული სევდა ჩვენს პოეზიას თან დასდევს. იროდიონის პოეზიაც სევდიანია მისი სევდა არის სევდა, სევდა განახლებული, გაღვიძებული საქართველოსი. ვახტანგ ორბელიანის სევდაში აკაკი წერეთელმა იმედის სხივი შეიტანა იროდიონმა კი ბრძოლის წყურვილი და ძლიერი სურვილი ბრწყინვალე მომავლის მოახლოვებისა. ჩვენი დემოკრატიის გათვითცნობიერება მჭიდროდ არის შეკავშირებული იროდიონის პოეზიასთან და პიროვნებასთან. იროდიონი დემოკრატიის ერთი საუკეთესო მედროშეა, მისი იდეალების ერთი საუკეთესო გამომხატველი, მისი გზის მედგარი გამკაფველი. იროდიონს სწამს დემოკრატია მხოლოდ ეროვნულს ნიადაგზე გამაგრებული უკანასკნელი აზრის ქადაგებისათვის მას ეკლის გვირგვინი დაადგეს თავზე. ამიტომ არის საყვარელი ის ქართველი ხალხისათვის ბ რაც დრო უფრო გაიზრდება ქართველი ხალხისთვის ცნობიერება მით უფრო იმატებს იროდიონისადმი სიყვარული. ქართველი ხალხის წინმსვლელობას ვერავითარი ძალა ველარ შეაფერხებს და ის მოიპოვებს იმ ბრწყინვალე მომავალს, რომელსაც ასე სევდიანად და ასე ტკბილად უგალობდა იროდიონის ჩანგი.

---

...საქმის გარშემოკრებასა და შენაწევრე...ი ორსავე ძალას ჰქონდა წილი. რის ...აც პარიზის კომუნას არ შეეძლო, სა...ა კრება ასრულებდა. და, რასაც უკანა...ელი ვერ ბედავდა,—პარიზის კომუნა ...ევინებდა თავისი რევოლუციური ...ისვლებით.

...ერთი სიტყვით რევოლუციური კანონ...ებლობა საერო კრების საქმე იყო, პირ...ირი ბრძოლა ძველ ორგანიზაციასთან ... მაშასადამე ნიადაგის მომზადება რევო...უციური კანონმდებლობისათვის—პა...ის კომუნისა (აგრეთვე სხვა კომუნე...ა).

...ვიდრე ამ ორ რევოლუციურ ორგანი...ციას შორის წონასწორობა ძლიერ და...რღვეული არ იყო, რევოლუციის საქმეც ...რჯვებდა, მაგრამ ორ მთავრობას ერ...დ, თანხმობით მუშაობა, დიდხანს არ ...უძლია და ამ ორი ძალის შეჯახება და ...დან გამომდინარე შედეგი—რევოლიუ...ის დამარცხება—აუცილებელი იყო.

...მესამე საერო შემანაწევრებელი, შემ...ებელი ძალა, როგორცა ვთქვით,—ომი ...ო. დღევანდელი ამბები გვიმტკიცებენ, ...ამ საერთო ეროვნული განსაცდელი ...ოდროდ შეანაწევრებს ხოლმე ერის სხვა ...სხვა ნაწილს, და, რომ 20 აპრილს 1782 წ. ავსტრიისთვის ომი არ გამოეც...ხადებინათ, არც 10 აგვისტოს 1792 წ. რევოლიუცია იქნებოდა.

...უკვე აღვნიშნეთ რომ ომი რესპუბლიკელ...ა მარცხით დაიწყო. ლაფაიეტი, რომე...იც 10 აგვისტ. რევოლიუციის წინააღ...მდეგი იყო, 19 აგვისტ. 1792 წ. 20,000 ...კაცით საზღვარზე გადავიდა და მტერს ...ნებდა და ახალ გენერალს (დიუმუ...იეს) საზღვარზე მხოლოდ 20,000 ჯა...რისკაცი დახვდა. მაგრამ დიუმურიე დახელოვნებული სარდალი იყო და მოხერხებული მანევრების წყალობით პრუსიელები იძულებულ ჰყო მიეტოვებინათ ლონგვი და ვერდენი (30 სეკტ, 1792 წ)

მალე რესპუბლიკის ჯარმა რეინი გადალახა და აიღო შპეიერი, ვორმსი, ფილიპსბურგი, მაინცი და ფრანკფურტი. ბელგიაში დიუმურიეს მეთაურობით 4 ჯარი გაგზავნეს 6 ნოემბერს 1792 წ. დიუმურიემ დაამარცხა ავსტრიელები ჟემაპპთან და უკუაგდო ბრიუსელისკენ. 28 ნოემბერს 1792 წ. ავსტრიელებმა დასტოვეს ბელგია და კონვენტის კომისარებმა დააწესეს იქ რევოლიუციური დაწესებულებები და ბელგიელებს საფრანგეთთან შეერთება აღიარებინეს.

და სწორედ იმ ფაქტმა, რესპუბლიკის გამოცხადების (22 სეკტ 1792 წ) შემდეგ რომ გამარჯვების სასწორი საფრანგეთისკენ გადმოიხარა, მოუპოვა რესპუბლიკას ერის თანაგრძობა.

განვიმეორებ: ამ დროს საფრანგეთში ერის სამი შემკრებელი, შემანაწევრებელი ძალა მოქმედობდა, საერო წარმომადგენლობა, ქალაქის თვითმართველობა და უცხო სახელმწიფოებთან ეროვნული თავდაცვისათვის ბრძოლა. და ამ სამი მემოქმედე ძალის ერთად შედუღებამ გამოიღო შესაფერი ნაყოფი.

შემდეგ კი დამარღვეველი, განმანაწევრებელი პროცესი (ქმნადობა) დაიწყო, რომელმაც რევოლიუციის პირველის, შემნაწევრებელი ხანის მიერ აგებული შენობა თითქმის საფუძვლამდის დაანგრია

ვასილ წერეთელი.

## კიდევ განაგრძობენ.

რუსეთის საზოგადოება, რომ ჩვენ არ გვიცნობს და მას ქართველ ერზე მეტად—შეუფერებელი წარმოდგენა აქვს ეს დღეს ფაქტად არის აღსარებული იმ დღიდან, როცა ქართველმა ერმა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაჰკარგა დღევანდელამდი რუსეთის პროგრესიული ინტელიგენცია ქართველ კაცს ქართველობის სახელს ართმევს და მას აღმოსავლეთის რაინდს—კავკასიელს უწოდებს

თვით დღესაც კი, როდესაც ქართველმა ერმა თავისი ერთგულება დაამტკიცა მოქმედებით დიდი რუსეთის წინაშე, რუსეთის ფართო მასა მოკლებულია ქართველების ჯეროვანათ გაცნობას მართალია, რუსეთის ოფიციალური წრეები დარწმუნდენ ქართველი ერის ერთგულებაში, მაგრამ ფართო მასა რუსეთისა და ინტელიგენცია ქართველებს კვლავ იმავ საზომით ზომავს, როგორც წინად. ქართველების დამცირება რუსეთის საზოგადოებაში დიდათ ხელს უწყობდენ საგანგებოთ დაქირავებული პირები, რომელნიც რუსეთის სატახტო გაზეთებში ინსინუაციებით სავსე წერილებს ათავსებდენ, სადაც ქართველების ლანძღვაგინების მეტი არა იყო რა.

მოიგონეთ ვილაც „ზატერიანის“ კორესპონდენციები ქართველების შესახებ, რომელიც სატახტო გაზეთებში უკომენტაროდ იბეჭდებოდა ამ ორი წლის წინად.

დღეს „ზატერინების“ რიცხვი დღითი დღე მრავლდება და სხვადასხვა ფსევდონიმებით გვევლინებიან რუსეთის სატახტო გაზეთების ფურცლებზე თავისი ტენდენციური ხასიათის წერილებით, რომელნიც ყოველდღე სხვადასხვა საზიზღარ ცილს სწამებენ ქართველებს. მოიგონეთ ვილაც „პ“—ეს გამოლაშქრება „რუსკ. ვედომოსტის“ ფურცლებზე, რამაც ქართველების მხრით სამართლიანი გულის წყრომა და აღშფოთება გამოიწვია. დარწმუნებული ვიყავით, რომ ისეთი რედაქცია, სადაც პროფესორები თანამშრომლობენ ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდენ ჩვენს

სამართლიან პროტესტს და მეორეთ აღარ გამეორდებოდა ამავე გაზეთის ფურცლებზე პატარა მოსყიდულ კაცუნების დემაგოგიური წერილები, მაგრამ მოვსტყუვდით. ეს ვაჟბატონები არა თუ სცხრებიან, კვლავინდებურათ განაგრძობენ თავის არა საკადრის გამოსვლებს და ყოველი ღონისძიებით სცდილობენ ქართველი ერის ღვაწლი დაამცირონ, გააქარწყლონ.

სამწუხარო ის არის, რომ ასეთ ჩვენდა საზიანო გამოსვლებს ზოგიერთი ქართველებიც კისრულობენ. ასეთია ბ-ნი ს. კაკაბაძე სომეხ შოვინისტების „კავკას. სლოვოში“ მოკალთებული. ბ-ნი სარგის კაკაბაძე თავის ამხანაგებით სხვადასხვა ფსევდონიმს ამოფარებულები ყოველ—დღე ილაშქრებენ ქართველი ერის დასამხობად.

ამის შემდეგ რაღა გაგვიკვირდეს, თუ ასე ბრმად გვიყურებენ გარეშენი? განა ამჟამად რუსეთის პრესაში ატეხილი ხმაურობა კავკასიის ერობის შესახებ და ქართველების გამტყუნება სულ. ასეთ პირთა საქმე არ არის? Ser.

# რუსეთი.

ამ ჟამად გუბერნატორების თათბირს რუსეთის პრესის უმეტესი ნაწილი გულცივად შეხვდა.

---

კავკასიის სამკურნალო ადგილების დირექტორმა ებრაელებს ნება არ მისცა სამკურნალო ადგილებით სარგებლობისა.

---

ებრაელთა საკითხი ამ მოკლე ხანში შინაგან სამინისტროში საგანგებო კომისიას გადაეცემა განსახილველათ.

---

მინისტრები შუამდგომლობენ შტიურმერის წინაშე, რათა მათ ნება დართოს ივნისში პეტროგრადში მოიწვიონ თავისი პარტიული ყრილობა.

## ერობა ჩვენში.

### 4 მაისის.

13 სექციის კრება. თავჯდომარეობს თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, კრება განაგრძობს საერობო თვითმართველობის არჩევნებში მონაწილეობის საკითხს.

თავ. დ. ო. ნჟარაძე მიაქცევს კრების ყურადღებას იმ მოვლენას, რომ ჩვენს ქვეყანაში მრავლად სცხოვრობენ ებრაელები, რომელთაც ჩარიცხვაც რუსეთის უფლებრივად შეზღუდულ ებრაელთა კატეგორიაში ორატორის აზრით უსამართლობა იქნებოდა. ეს ებრაელები მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სცხოვრობენ ჩვენს ქვეყანაში და წარსულში ისინი იხდიდენ ყოველგვარ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე და მრავალი მათგანი, როგორც მაგალითად ქუთაისის ებრაელები, მონასტრების საკუთრებას შეადგენდნენ. ჩვენი ქვეყნის ებრაელებს უკანასკნელ ხანში მიეცა ნება ქალაქის თვითმართველობაში მონაწილეობისა. თუმცა არა სავსებით, ორატორი წინადადებას აძლევს კრებას გამოთქვას სექციამ სურვილი, რომ ადგილობრივ ებრაელებს ერობაში მონაწილეობის უფლება მიენიჭოთ.

ირეცკი, თოხიშვილი, რუდოლფი, ყურული და სხ. უერთდებიან ამ წინადადებას და სექცია მას ერთხმათ ღებულობს. კრება იხილავს კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსის რუდოლფის წინადადებას, რომ მიღებულ იქმნეს დადგენილება, რათა გუბერნიის და მაზრის ერობებში სრული უფლებით მოწვეულ იქმნას სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელი.

დეკანოზ გოროდეცკის შეაქვს ასეთავე წინადადება სასულიერო სასწავლებლის უწყებისთვის.

დოლუხანოვი ყურული და სხ. ამის წინააღმდეგი არიან და კრება ამ წინადადებს არ იწყნარებს.

კრებას მოხსენდა კავკასიის ქალთა საზოგადოებების განცხადება, იმის შესახებ, რომ საერობო თათბირმა გამოიტანოს დადგენილება შესახებ ქალთა სქესის პირადი მონაწილეობისა ყოველ საერობო საქმეში.

გ. რცხილაძე და სხ. ამტკიცებენ, რომ ეს საკითხი სცილდება თათბირისთვის დაწესებულ ფარგლებს და კრებაც აღიარებს, რომ სასურველია კავკასიის ქალებს მიცეს სრული უფლებები საერობო საქმეებში, როცა ეს რუსეთის კანონმდებლობის მიერ მიღებული იქმნება რუსეთის ერობებში.

თავ. ს. გ. მაჩაბელი. ვინაიდან სექციის ქუთაისის გუბერნიისთვის არ დაუწესებია საარჩევნო ცენზის რაოდენობა, საჭიროა ამას დაუბრუნდეთ და ცენზის რაოდენობა შევიმუშავოთ. ორატორი ამტკიცებს, რომ ამ საკითხის შესახებ კამათი უკანონოდ შესწყდა, ვინაიდან კრებას ამის შესახებ არავითარი დადგენილება არ გამოუტანია.

გ. მ. ლასხიშვილი —უერთდება ამ წინადადებას და მოითხოვს, რომ საკითხი ცენზის რაოდენობის შესახებ უთუოდ გადასწყდეს იმ კრებაზედ.

ტერ-მიქელიანცი — შეუძლებლად სცნობს გადაწყვეტილი საკითხის ხელახლა დაბრუნებას.

ფ. გ. გოგიჩაიშვილი—აღნიშნავს, რომ ცენზის საკითხის გადაჭრა საერთო ფორმულებით და ფრაზებით არ შეიძლება, საჭიროა ამისთვის საბუთები და მასალა, თორემ ისე ჩვენ გადაწყვეტილებას არაფერი ფასი არ ექმნება.

ს. გ. მდივანიც აღიარებს ამ საკითხის მნიშვნელობას და საჭიროდ სცნობს მის განხილვას ან სექციაში ან ამორჩეულ კომისიის შემწეობით. მდივანი ჰკითხულობს ამის შესახებ კრების ოქმს, მაგრამ კრების ერთს ნაწილს ეს არ აკმაყოფილებს და მოითხოვენ კომისიის არჩევანს ცენზის რაოდენობის გადასაჭრელად ან საკითხის სექციაში გარჩევას.

ა. ს. ასათიანი. ცენზის რაოდენობის გადაჭრა სრულებითაც არ შეუტანია უმაღლეს მთავრობას თათბირის წესრიგში და ეს ჩვენთვის სავალდებულო არ არის მით უმეტეს, რომ საარჩევნო ცენზის საფუძველი უკვე მივიღეთ და რაოდენობის გამორკვევა თითეულ გუბერნიისთვის ასეთის მასალით და ასე ნაჩქარევად შეუძლებელია. ორატორი წინადადებას იძლევა დაკმაყოფილდეს კრება საერთო დადგენილებით რაც შეიძლება მცირე ცენზის შემოღების შესახებ და გუბერნიების წარმომადგენლები თუ შეიმუშავებენ ცენზის რაოდენობას, თათბირის საქმეებში იმქნეს შეტანილიო.

ამ წინადადებას კრება დიდი უმრავლესობით ღებულობს.

გ. ა. ირეცკი. დაწვრილებით იხილავს არჩევნების საკითხს მომავალ საერობო ერთეულეში და მოითხოვს, რომ სამაზრო ერობისთვის უთუოდ მიღებულ იქმნეს პროპორციონალი წარმომადგენლობა. ოთხი უმთავრესი ეროვნება — ქართველობა, რუსობა, მუსულმანობა და სომხობა, თუ ამ ერთეულებში წარმოდგენილი არ იქმნა თანახმად მათი რაოდენობისა, ისე ერობის მუშაობა არ იქნება მშვიდობიანი და წესიერიო.

(შემდეგი იქნება).

## პატარა ფელეტონი.

### შეხვედრა.

თბილისსი ერთ განაპირა უბანში ღარიბულად მორთულ ოთახში სცხოვრობდა ორი მეგობარი.

ერთ დღეს ორივეს რიგიანი სადილი მოენატრათ, რადგან დიდი ხანია თავი საკმაოდ გამძღარი არ ახსოვდათ

დილა იყო, ჯერ ისევ ლოგინში იწვენ და ოცნებობდენ.

— ახ, სად არის ერთი კარგი კახური—სთქვა სიკომ. ® ცხელი მწვადებიც!— დაუმატა ნიკომ.

კიდევ ვინ იცის რამდენი გემრიელი სასმელ საჭმელი არ გაიხსენეს მეგობრებმა, მაგრამ ოცნება ოცნებათვე რჩებოდათ, რადგან ჯიბეში რაღაც გროშები ჰქონდათ და დუქანში მისვლას არა კადრულობდენ. მათ ენატრებოდათ მდიდრულათ მორთული რესტორანი, სადაც შეეძლოთ მოესმინათ მუსიკა და დამტკბარიყვნენ წუთიერათ მაინც.

სიკოს ძლიერ აწუხებდა ფულის უქონლობა და მისცემოდა ფიქრებს—ვისგან, ან სად ეშოვნა ცოტაოდენი ფული. ვისგანაც შეიძლებოდა ფულის სესხება, უკვე ნასესხი ჰქონდა გარდა ამისა უკანასკნელ ხანებში ხშირად მოსდიოდათ უსიამოვნება სახლის პატრონთან. რასაკვირველია უსიამოვნება იყო გამოწვეული სახლის ქირის გადაუხდელობის გამო და მოსალოდნელი იყო არა სასურველი შედეგიც…

უცბათ ნიკო ლოგინიდან წამოდგა და სთქვა:

— ნუ თუ ჩვენ იმდენათ დავეცით, რომ დღევანდელი საღამო ისევ მყრალ დუქანში გავატაროთ?

— ჯანდაბას შენი თავი და შენი ლაპარაკი—დაუყვირა სიკომ და პირი კედლისაკენ მიიბრუნა ნიკოს კი სრულებითაც არ მიუქცევია ყურადღება ამ გაჯავრებისათვის და განაგრძობდა:

— ნუ თუ ცხოვრება ისეთი უკულმართია, რომ ჩვენ, ორ მშვენიერ ახალგაზდას, ორ ნიჭიერ ადამიანს, ორ მომხიბლავ ყმაწვილს, რომლებზედაც რჩება თვალი ბევრ ქალს, ნება არა აქვს დასტკბეს რიგიან რესტორანში? რას იტყვი შენ, ჩემო ამხანაგო?

სიკოს მობეზრდა ნიკოს ლაპარაკი და უპასუხა:

— მოთმინების ფიალა ამევსო შენის ყბედობით და თუ არ გაჩუმდი, ლეკვივით გადაგისვრი ფანჯრიდან. უნდა ითქვას, რომ სიკო ერთი ორად უფრო ღონიერი იყო ნიკოზედ.

— მე თუ ლეკვი ვარ, შენ ვირი იქნები! წყენით მიუგო ნიკომ, მაგრამ მალე დამშვიდდა და მხიარულად წამოიძახა: მომივიდა ერთი მშვენიერი აზრი და თუ მას შევასრულებთ, საშუალება მოგვეცემა გავატაროთ საღამო რიგიან რესტორანში.

— მოდი, ბიჭო, ჩავიცვათ ძონძები ჩამოვიაროთ ათიოდე ოჯახი და ვითხოვოთ ღვთის გულისათვის, მოვაგროვოთ საკმაო ფული და მოუსვათ საქეიფოდ! აღტაცებით დაათავა ნიკომ.

— ეს ხომ პირდაპირ ქურდობაა! შესძახა სიკომ.

რაც გინდა, ის დაუძახე და თუ შენ არ წამოხვალ, მე წავალ მარტო ,, რესტორანშიც მარტო ვიქეიფებ!.. ჰე მოდიხარ, თუ არა? აღარ ისვენებდა ნიკო.

მსუნაგობამ და ყმაწვილურმა გატაცებამ დასძლია ორივე და…

ნახევარი საათის შემდეგ ქუჩაში მიდიოდა ორი ძონძებში გამოხვეული კაცი. კარგად რომ დაკვირვებოდით, მათში გამოიცნობდით ჩვენ ახალგაზრდებს.

არ ავწერ ვრცლად მათ ხეტიალს; პირველ სამ ოჯახში ჩუმად მიუხურეს მათ კარები. მეოთხე ოჯახში კარგად გალანძღეს. მეხუთეში- მოსამსახურემ შეიცოდა ისინი, გამოუტანა ცოტაოდენი პური და ორი კაპეიკი, მეექვსე კარებთან კი დიდხანს იყვნენ გაჩერებული, უნდოდათ კიდეც უკან დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ როგორც იყო ნიკომ ზარი ჩამოჰკრა კარი გაადო შუახნის ქალმა და ჰკითხა:

— ვინ გნებავთ?

— ბატონი!

— ჩემი ქმარი თუ? გაიკვირვა ქალმა.

— დიაღ ქალბატონო! —ზრდილობიანად უპასუხა ნიკომ.

— მობრძანდით! უთხრა ქალმა და ისინი შეიყვანა ღარიბულად, მაგრამ სუფთად მორთულ ოთახში.

ქალი გავიდა მეორე ოთახში. მეგობრები თავჩაღუნული იდგენ.

ცოტა-ხნის უკან მათთან შემოვიდა მოხუცებული კაცი ნამძინარევის თვალებით და ორივეს მიესალმა. ნიკომ დაიწყო თავისებურად ვრცლად ლაპარაკი. აუწერა თავიანთი უკიდურესი მდგომარეობა, გაჭირვება და ბევრიც იცრუა.

მოხუცი გულმოდგინედ უგდებდა ყურს.

— მომითმინეთ ყმაწვილებო სთქვა მან და გავიდა ოთახიდგან.

— მგონი მოგვცეს რამე. სთქვა ნიკომ

— „მეც მგონია… მაგრამ ვის.. მოგაგონებს ეს მოხუცი? ჰკითხა სიკომ.

— „ბისმარკს“ ჩაილაპარაკა ნიკომ.

— მართლაც, რომ ძლიერ ჰგავს იმ რკინის კაცს. სთქვა სისომ

მოხუცი მალე დაბრუნდა მივიდა ნიკოსთან და ხელში სამმანეთიანი ჩაუდო, თანაც ბოდიში მოიხადა: „მეტი არა მაქვს“-ო.

ნიკომ დიდი მადლობა გადაუხადა.

გათამამებულმა მეგობრებმა კიდევ რამდენიმე სახლი ჩამოიარეს, ჩამოხიკეს საკმაო ფული ® გახარებულნი დაბრუნდენ თავანთ სახლში აქ ისინი მოირთენ, მოიკაზმნენ, მერე ჩასხდენ ეტლში და გასწიეს საუკეთესო რესტორანისაკენ…

მდიდრულად მორთულ რესტორანს არ აკლდა სითბო და, სინათლე სასიამოვნოდ უკრავდა მუსიკაც სტუმრები ლხინსა და ქეიფს მისცემოდენ.

ჩვენმა ნაცნობებმა დაიკავეს ერთ კუთხეში ხელოვნურ ყვავილების ქვეშ დამდგარი მაგიდა. ნიკომ მიიხედ—მოიხედა და მედიდურად ზარი დაარაწკუნა

— აბა მოიტა სია! ამაყად შესძახა ლაქიას, მაგრამ უცბად თავი დაღუნა და გაშტერდა.

სიკოსაც ფერმა გადაჰკრა.

მათ წინ კი ზრდილობიანად გაჩერებული იყო ბისმარკის სახის მოსამსახურე № 5 და ბრძანებას ელოდა…

ქეთო ქომეთიანი

## რაჭა-ლეჩხუმი.

წარსულმა წელმა, როგორც სხვა ჩვენი პროვინციები, რაჭა-ლეჩხუმიც ძლიერ დააზარალა და ჩამოარჩინა ეკონომიურ წინმსვლელობას. ყველაფერზე უფრო ცუდი მოსავალი იყო ღვინის.

წელს კი მოსავალს ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს, მხოლოდ მუშა ხელი აკლია. ვენახებსაც კარგი პირი, უჩანს მაგრამ შაბიამნის უქონლობა ძლიერ აფიქრებს მევენახეთ, და თუ წლებაც უწამლებელი დარჩათ ვენახები, მომავალში მათი გამობრუნების იმედი დაკარგული აქვთ.

სასიხარულოა მხოლოდ, რომ რაჭა-ლეჩხუმის მკვიდრთაც შეიგნეს თვისი აუცილებელი საჭიროება და კიდეც შეუდგენ საქმეს. აქ არსდება სხვადასხვა სოფელში კოოპერატიული დუქნები, შემნახველ-გამსესხებელი ბანკები, სკოლები წიგნ-საცავ-სამკითხველოები და სხვა. ვიმეორებ, სასიხარულოა სწორედ ეს მოვლენა, გამოფხიზლებაა ჩვენი სოფლისა და— იმედის მომცემი.

რაჭა ლეჩხუმის ხსენებაზე არ შეიძლება ორი სიტყვა არ სთქვას კაცმა, აქაურ გზებზე,—რომელიც ადაგ-ადაგ ძლიერ წამხდარია და საჭიროებს შეკეთებას, თორემ სახიფათოა აქ მოგზაურობა. აგრეთვე დილიჟანდილიჟანსების მიმოსვლის საქმე ვერ არის კარგად დაყენებული. არავითარი ნიხრი მათთვის არ არსებობს. მიმოსვლის სასყიდელს, რამდენიც სურთ, მგზავრს იმდენს ახდევინებენ. საჭიროა ჯეროვანი ყურადღების მიქცევა ვისგანაც ჯერ არს.

ამასთანავე დილიჟნები ისეთი უვარგისნი არიან მგზავრობისთვის, რომ არ იცი მგზავრმა, სად მოგელის უბედურება. ხშირია მგზავრების დასახიჩრება და ბევრჯელ სრულიად დაღუპვაც კი, ცუდ დილიჟანს-დილიჟნების მიზეზით.

სავალალოა აგრეთვე, რომ ამ მშვიდ პროვინციებშიც იჩინა ამ ბოლო ხანს ქურდ-ბაცაცობამ და ძარცვა-გლეჯამ თავი. ხშირათ გესმით, რომ ამა და ამ გლეხს ესა და ეს დაეკარგაო. დაიწყეს გზებზე აშკარა გაძარცვაც მაგ. 8 აპრილს ერთ დილიჟანს დაუხვდა რამოდენიმე შეიარაღებული კაცი და გაძარცვეს ისეთი მგზავრები, რომლებიც იმ ცოტაოდენ გროშებით მიდიოდენ დამშეულ და დაცემულ ოჯახისათვის დუკმის მიწვდენას.

თუ ადმინისტრაციამ და განსაკუთრებით თვით ხალხმა ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია ამ ვაჟბატონების ალაგმვას, მოსალოდნელია უფრო ფართო ხასიათი მიიღოს ძარცვა

გლეჯამ … ისედაც სამშვილ… ხალხს უფრო …

### მესხეთის …

(ქუთაისი)

ამ ქუჩაზე მცხოვრებნი ყველ… ლებული არიან: გზას, სამკითხველ… კულტურულ დაწესებულებას. ამ ქუ… მხოლოდ ერთი მოედანი, სადაც … წესრიგი არ არსებობს. ამ მოედანს … მეთოფე მედუქნეები უსაზღვროთ … ხალხს: არავითარი ნიხრი მათთვის არ … ბობს. მუშტარს შიშით ხმა ვერ გაუცია მ… რეს ლანძღვა —გინებას ❦ უწყეს მოქმე… ხომ საზღვარი არა აქვს.

ვიდა ხსოვის ყველა ამას, რომ ჩვენ… ლიერ მამებისაგანაც მივიწყებული არ ვიყ… თავის დროზე, რაც უნდა გიშოვდეს ამა… იმ მღვდელ—მოქმედების შესასრულებ… ავერ იშოვი. თავს იმითი მართლულობს, … გავვეთილზე იყო სასწავლებელში. წირვა-ლ… ცვა კიდევ თავის დროზე არ სრულდება, … რომ, როცა მლოცველები ეკლესიაში მივლ… წირვა, უკვე გამოსულია დილის 8 საათ… რ შეიძლება არ აღვნიშნოთ ამ უბნის მე… ვითიის უგვანო საქციელი. ეს ვაჟბატ… სხვა არა საკადრის საქციელთან ერთად ხ… მრუდობასაც ჩადის მაგ. ერთერთ მიცვა… ბულს დავითის უკითხავდა; მიცვალებულის… ტრონებმა საღამოს ჩაი მაართვეს. მედავი… ადგა და შაქრის რამდენიმე ნატეხი ჯ… მოიქცია. ამას ჩადის სხვა დროსაც.

მაგრამ აღდგომას მეორე დღეს მიცვა… ბულთა სასაფლაოდან უბე-ჯიბეები ისე ჰქონ… ავსებული პასკა--კვერცხებით, რომ … ეტეოდა, ქუჩაში ეფინებოდა და პავშ… კრეფდნენ.

ასეთი მოქმედება ძალიან ცუდ გავლ… ახდენს მრევლზე და ეკლესიურ სასაც… უკარგავს.

იმედი გვაქვს, ჯეროვან ყურადღებას მი… ცევს ეკლესიის წინამძღვარი. მედავითნის… მარცხვინო საქციელს და შეეცდება თუ … დან მოშორებას არა—მის გასწორებას მაი…

მეთვალყურე…

რედაქტორი ი. ციცა…

გამომცემელი ამხან. „სამშობლ…


# იყიდება

ორსართულიანი სახლ…

ქალაქის ცენტრში.

იკითხეთ „სამშობლოს“ რედაქციაში

4—8—143

მმათა ქორქოლაშეების

## ხრესილის აბანოზე

უკვე გაიხსნა სეზონი. წელს შედარებით წარსულ წლებთან ყველაფე… გაუმჯობესებულია და ფასებიც ზომიერია

# სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ **დე ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაგრულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გუმსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** საათითაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9 – (წლიური)